ENERGO-PRO
JSC ENERGO-PRO GEORGIA GENERATION
19 Zurab Anjaparidze street
0186 Tbilisi, Georgia

სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციი"
ზურაბ ანჯაფარიძის ქ.19
0186 თბილისი, საქართველო

სს ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციი
O.№ 3000693
"07" 08 2019
JSC ENERGO-PRO GEORGIA GENERATION

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციას" გუმათის ჰიდროელექტროსადგურის საექსპლუატაციო პარამეტრების შეცვლის პირობებში კასკადის ფუნქციონირებაზე 2018 წლის 10 აპრილს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N2-219 ბრძანებით დამტკიცდა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მიღების მიზნით სამინისტროში წარდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში განსაზღვრულია, რომ ჰიდროენერგეტიკულ და ძალოვან ობიექტებზე შესაძლებელია გეგმური სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება, რომლებიც შესაძლებელია მოიცავდნენ, როგორც ტექნიკისა და ძირითადი კვანძების შეკეთებას ან გამოცვლას.

2018-2019 წლებში სს ,,ენერგო-პრო ჯორჯიას გენერაციას" მიერ გუმათის ჰიდროელექტროსადგურზე ჩატარდა გეგმური სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები. აღნიშნული სამუშაოების შედეგად გუმათჰესი 1-ის N2 ჰიდროაგრეგატის შემადგენელი ნაწილების ტექნიკური გაუმჯობესების ხარჯზე, მისი ნომინალური სიმძლავრე 11,00 მგვტ-იდან გაიზარდა 12,7 მგვტ-მდე, რამაც გამოყენებული რესურსის (წყალაღება) ცვლილების გარეშე, გაზარდა გუმათჰესი 1-ის დადგმული სიმძლავრე და შეადგინა - 48,4 მგვტ. საბოლოო ჯამში ჰიდროელექტროსადგურის კასკადის ჯამური სიმძლავრე გახდა 71,2 მგვტ.

იმის გათვალისწინებით, რომ 2018 წლის 10 აპრილის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N2-219 ბრძანებით დამტკიცებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ჯამური სიმძლავრე - 69,5 მგვტ, სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შემდგომ გაიზარდა და გახდა 71,2 მგვტ, საქართველოს კანონი - გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად საქმიანობა ექვემდებარება კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის გავლას.

დანართი:

- გუმათის ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციის პირობების შეცვლის სკრინინგის ანგარიში;

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 11447
"08" 08 2019
2/PCB

- გუმათის ჰიდროელექტროსადგურის კოორდინატები (Shp. ფაილები).

პატივისცემით,

მიხეილ ბოცვაძე
გენერალური დირექტორი

შემსრულებელი: ლევან იოსელიანი 577351397